



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დადოქტრინისა და პენიცილინის გავრცელება

№13 (9.923)

2-9 მაისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ნათიამ ექთნის პროფესია თავად აირჩია. დიპლომის აღებისთანავე მშობლიურ საავადმყოფოში დაასაქმეს. ის ენთუზიაზმით და სიყვარულით შეუდგა მძიმე საქმიანობას. რამდენჯერმე სიკვდილსაც ჩახედა თვალებში. საჭუთარს არა, პაციენტისას. ავადმყოფების გამოჯანმრთელება მათზე ნაკლებად არ უხაროდა. ყველამ შეიყვარა ეს ლამაზი და სათნო გოგონა, რომელსაც საავადმყოფოს ნაგლის სუნითა და ხშირად ავი წინათგმობით გაჟღერებულ კალატაში სიცოცხლის სხივი შეჰქონდა.

სამსახურის შედეგად მშობლებთან გარბოდა. არად დაგიღვდათ თეთრად გათენებულ ღამეებს. უარყოფით ემოციებსა და ნერვიულობას საავადმყოფოს კართან ტოვებდა. მშობლებთან ღიმილიანი სახით შედიოდა, მიჰქონდა საჭირო ნივთები და მსოფლოდ ამის შედეგად იწყებდა დასვენებაზე ფიქრს. ესეც იმიტომ, რომ მძიმე პაციენტებთან კარგი განწყობითა და ენერგიით სავსე მისულისყო. მათ შველა სჭირდებოდათ. გვერისთვის ნათიამ დანახვა გამოჯანმრთელების იმედსაც ნიშნავდა.

ახალი კორონავირუსის შემთხვევების საქართველოში დაფიქსირებისთანავე დაიწყო დაინფიცირებულებზე ზრუნვა. განსაკუთრებულად ემოციური ხდებოდა, როცა პაციენტი გავშვი იყო. მათ გადასარჩენად საჭუთარ თავე ალარ ფიქრობდა. უსაფრთხოების ნორმებს იცავდა. ეკივირებული შედიოდა კოვიდ დადებითებთან, მაგრამ ვირუსმა მაინც არ დაინდო. გამოხატული სიმპტომები არ ჰქონდა, მაგრამ ტესტირებამ დადებითი შედეგი აჩვენა. სტატუსიც შეეცვალა-კოვიდ დადებითი გახდა. პაციენტის კოფური ნომერიც მიანიჭეს. მსგავს სიტუაციებში აღმოჩნდნენ მისი ოჯახის წევრებიც. მათ შორის ორი მცირეწლოვანი გავშვი. დაიწყეს ყველა შესაძლო კონტაქტის მოძიება. მათმა რიცხვმა 200-ს გადააჭარბა. ასე გაჩნდა საქართველოში კიდევ ერთი შესაძლო წითელი ზონა.

დღეს ქვეყანა ნათიასავით ბუნების ხიდზე გადის. შიდა გავრცელების შეკავების ეტაპიდან-პიკამდე.



„ამჟამად, ჩვენ, წესით, COVID19-ით ავადობის პიკში ვართ და ჩვენი ამოცანა იქნება, რომ ეს პიკი რაც შეიძლება მეტი ხანი დავიჭიროთ, ასე ვთქვათ - პლატოზე და როგორც ჩემმა ერთმა კოლეგამ კარგად თქვა - ჯომოლოუნგმა რომ არ იყოს და იყოს პატარა გორაკი“-ეს განცხადება პაატა იმნაძემ 26 აპრილს გააკეთა. 27 აპრილს კი ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ თქვა, რომ „დანონსებული პიკი“ არ გვექნება: „ალარ არსებობს მოლოდინი, რომ მაისში კორონავირუსით ინფიცირების რაოდენობა პიკს მიაღწევს. ჩვენ უკვე გვაქვს პლატო“.

ამ განცხადებების მიუხედავად, ქვეყნის მთავარი ეპიდემიოლოგი ამბობს, რომ ეს ორი კვირა სიფრთხილის ზონაში უნდა გავატაროთ. „ჩვენ ქართველებს კარგი გამოთქმა გვაქვს, წინილს შემოდგომაზე ითვლიანო. უნდა დაველოდოთ ჯერ. ამ ეტაპისთვის გარკვეულწილად შევაკავეთ ეპიდემია“- თქვა გამყრალიძემ და პიკური პერიოდის დასაწყისად: „ჩვენი მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად მივაწოდოთ ადამიანებს ინფორმაცია, რომ კიდევ ორი კვირა კალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და არ გავიგოთ ისე, თითქოს ყველა შეგულდვა მოიხსნა. კომუნდენტის სათი რატომ არის? იმიტომ, რომ როცა დაიკაბა რესტორნები, ერთმანეთთან დაიწყეს სახლებში შეკრება. მთავარი მიზანია, რომ საქართველო გამოვიდეს ნაკლები დაზიანებით ამ პანდემიიდან“, - განაცხადა ამირან გამყრალიძემ.

იმუნოლოგ-ალერგოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი ამბობს, რომ დიას, ჩვენ ახლა სწორედ ავადობის პიკის დასაწყისში ვიმყოფებით და ვარაუდობს, რომ საქართველო პიკს ბლავი მრუდით გაივლის. მისივე თქმით, სხვა ქვეყნების გამოცდილების თანახმად, პიკი, დაახლოებით 2-3 კვირას გასტანს.

ურნმუნოებს კი დიაგრამას გთავაზობთ. ციფრები თავად ამბობენ სათქმელს.

პიკის ზღვარზე



ინგა შიოლაშვილი

კარგ კარგადი - საერთაშორისო აპროვიზიის ვითარების გამოსწორებად მთავარი ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული პროგრამის

პროექტ GRETA-ს ფარგლებში, ევროკავშირმა, შვედეთმა და ავსტრიამ, ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორში, ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის მიზნით, ადგილობრივი განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა გამოაცხადა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, მხარდაჭერაში ჩართვა შეუძლიათ ფერმერებს, ფერმერთა ჯგუფებს, კოოპერატივებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებს და ორგანული სოფლის მეურნეობის სხვა წარმომადგენლებს.

ინიციატივა გამოიზრდის მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, საჩხერის, ჭიათურის და ტყიბულის მუნიციპალიტეტის ფერმერებისთვის, საოჯახო სასოფლო-მეურნეობებისთვის, ოფიციალური /არაფორმალური ფერმერის ჯგუფებისთვის, და ასევე ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტებს გარეთ დაფუძნებული სუბიექტები/ ობიექტებისთვის ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორიდან, რომლებიც ორგანული პროდუქციის შექმნას ახორციელებენ ჩამოთვლილი რეგიონებიდან.

ადგილობრივი განვითარების ინიციატივის ფარგლებში, მხარდაჭერის მოცულობის დიაპაზონია 5 000-დან 150 000 ლარამდე. აპლიკანტის მხრიდან, თანადაფინანსება მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 10%-ს უნდა შეადგენდეს.

„საქართველოში ეკონომიკური ვითარების გამოსწორებად მიმართული ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქვეყანას ორგანული სოფლის მეურნეობის დიდი პოტენციალი გააჩნია, თუმცა ეს შესაძლებლობები ჯერ კიდევ აუთვისებელია სასოფლო-სამეურნეო საშუალებებზე, კრედიტებზე, ბაზრებზე და ინფორმაციაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობის გამო. ახალი შესაძლებლობების შექმნა, ადგილობრივი მცირე მეწარმეებისთვის და მცირე მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის, სოფლის განვითარების მთავარი კომპონენტია. ადგილობრივი განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა არის დროული ნაბიჯი გამოწვევების დასაძლევად“, - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პარტნიორმა.

საქართველოში შვედეთის ელჩის ულრიკ ტილდესტრომის განცხადებით, ამ რთულ დროს მსგავსი ტიპის მხარდაჭერის საჭიროება ძალიან დიდია.

„ჩვენ გვჯერა, რომ ძალების გაერთიანება უკეთეს შედეგს იძლევა. სწორედ ამიტომ, ევროკავშირმა, შვედეთმა და ავსტრიამ გააერთიანა რესურსები პროექტ GRETA-ს სახით, მაღალმთიან რეგიონებში მცირე მეწარმეებისა და მცირე მასშტაბის გადამამუშავებელი საწარმოების მხარდაჭერად. ამ რთულ დროს მსგავსი ტიპის მხარდაჭერის საჭიროება ძალიან დიდია. მოხარული ვარ, რომ მიუხედავად არსებული ვითარებისა, პროექტი GRETA წარმატებით განაგრძობს ფუნქციონირებას და ხელს უწყობს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, დასაქმებას და

სხვა შესაძლებლობების შექმნას“, - აღნიშნა საქართველოში შვედეთის ელჩმა, ულრიკ ტილდესტრომმა.

საქართველოში ავსტრიის ელჩის, არად ბენცონის თქმით, კი სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული სექტორია ავსტრია-საქართველოს თანამშრომლობისთვის და ისინი ხედავენ, რომ მიმდინარე კრიზისულ პერიოდში სოფლის მეურნეობა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

„სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული სექტორია ავსტრია-საქართველოს თანამშრომლობისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარე კრიზისულ პერიოდში სოფლის მეურნეობა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. დღესდღეობით, თანადაფინანსების შესაძლებლობების შექმნა, გამოცდილების გაზიარება, მცირე მეწარმეებისთვის და მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, ეკონომიკური აღმშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედებაა“, - აღნიშნა საქართველოში ავსტრიის ელჩმა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი პროექტი/იდეა უნდა ეხმიანებოდეს შემდეგი პრიორიტეტული სფეროებიდან მინიმუმ ერთ-ერთს:

მცირე ფერმერების ნახალისება, რომ გადაერთონ კონვენციური/სტანდარტული მეურნეობიდან ორგანულ მეურნეობაზე; უკვე არსებული ორგანული მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების პროდუქტიულობის ამაღლება და ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; პროდუქტის ხარისხისა და მასზე მოთხოვნის ზრდის გაუმჯობესება მარკეტინგული ინიციატივების საშუალებით; ორგანული სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიურად სუფთა საკვების პოპულარიზაცია და ზოგადად ორგანულ/ბიო წარმოებაზე ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა როგორც პროექტის სამიზნე რეგიონებში, ასევე ეროვნულ დონეზე; ორგანული პროდუქტების მწარმოებლებისა და შემსყიდველი კომპანიების დაკავშირება, ბიონარმობასთან დაკავშირებული ღონისძიებების ზოგადი კოორდინაცია, საზოგადოების ინფორმირება ორგანული პროდუქტების უპირატესობაზე და ზოგადად ორგანული სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია; ბიონარმობაში დაშვებული და აუცილებელი საჭიროებების/რესურსების მინოდება ფერმერებისთვის.

მათი ინფორმაციით, ქვეყანაში არსებული პანდემიური ვითარების გამო, COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, განაცხადის პირველადი სააპლიკაციო (ინტერესის გამოხატვის) ფორმის მიღება ან მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ონლაინ.

სააპლიკაციო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე ან გააგზავნოთ მოთხოვნა შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე - greta@ada.gv.ge

განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა 2020 წლის 25 მაისი. (თბილისის დროით 16:00 საათი). განაცხადებები მხოლოდ ქართულ ენაზე განიხილება, რომელიც უნდა იყოს სრულად შევსებული და გადაგზავნილი მთელზე: greta@ada.gv.ge.

ბაღების აღსაზრდელს სასურსათო კალათები დაურიგდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანაშიას განცხადებით, დედოფლისწყაროს ბაღების აღსაზრდელს სასურსათო კალათები დაურიგდება. „უახლოეს მომავალში ჩვენ ვგეგმავთ დედოფლისწყაროს ბაღების 900-მდე აღსაზრდელს სასურსათო კალათებით მივუჭანოთ სასურსათო კალათები. გვესმის, რომ საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ყველა ოჯახს არა აქვს იმისი საშუალება, რომ სრულყოფილად იზრუნოს ბავშვების კვებაზე. შექმნილი მდგომარეობის გამო, დაკეტილია სკოლაშენი დაწესებულებები. სწორედ ბავშვებზე ზრუნვის მოტივით გადაწყვიტეთ, მათი კვების რაციონზე ვიზრუნოთ“- განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანაშიამ.



კახეთში ეპიდსიტუაცია სტაბილურია

დედოფლისწყაროში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კვლავ სტაბილურია. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მარიამა ბონაშვილის ინფორმაციით, 1 მაისის მონაცემებით, დედოფლისწყაროში თვითიზოლაციაში იმყოფება 5 პირი, აქედან 4 მოქალაქეს აქვს რუსეთში მოგზაურობის (მუშაობის) ისტორია, 2 მაისს ისინი კვლავ მიემგზავრიან რუსეთის ფედერაციაში, დაბრუნების შემდეგ კი დაექვემდებარებიან ტესტირებას.

„დედოფლისწყაროს სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადის თანამშრომლებს უტარდებათ გეგმიური ტესტირება და მათი ნიმუშები ეტაპობრივად იგზავნება ლუგარის ლაბორატორიაში. საბედნიეროდ, ლეიმდე ყველა ნიმუშის პასუხი კოვიდ -19 -ზე უარყოფითია“- აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას მარიამა ბონაშვილი.

კახეთში ეპიდსიტუაციის სტაბილურობა კვლავ შენარჩუნებულია. პირველი მაისის მდგომარეობით COVID 19 -ის არცერთი ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა არ ფიქსირდება.

თვითიზოლაციაში იმყოფება 18 მოქალაქე. მოიხსნა 1 პირი. რაც შეეხება კარანტინის სივრცეებს, 11 ლოკაციაზე იმყოფება 502 მოქალაქე.

საეჭვო პაციენტებიდან ნიმუშების აღება გრძელდება როგორც ცხელების კლინიკებიდან, ასევე კარანტინის სივრცეებიდან. დაიწყო მედპერსონალის ტესტირებაც. 30 აპრილს გაიგზავნა ლუგარის ცენტრში 82 ნიმუში აქედან 70 სამედიცინო პერსონალის, 12 კარანტინის ზონებიდან და ცხელების ცენტრიდან. ყველა ნიმუშის ტესტირების შედეგი ნეგატიურია.

საქართველოში, პირველი მაისის მდგომარეობით კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევაა - 566. მათ შორის გამოჯანმრთელებული - 207, გარდაცვლილი - 6. კარანტინის რეჟიმში იმყოფება - 5320 პირი, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ კი - 548. უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობაა - 3.

დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი მალე გაიხსნება

ამ დროისთვის საქართველოს მასშტაბით, 80 აგრარული ბაზრიდან 24 ფუნქციონირებს. ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოდან იუწყებიან.

უნწყების ინფორმაციით, აგრარული ბაზრები ეტაპობრივად იხსნება და ამასთან, ხდება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

„აგრარული ბაზრების გახსნის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად მიმდინარეობს. სურსათის ეროვნული სააგენტო თვითმმართველობებთან ერთად ახორციელებს მონიტორინგს, რამდენად არის დაცული უსაფრთხოების წესები და რეკომენდაციები. ამ დროისთვის (30 აპრილის მონაცემებით) 24 აგრარული ბაზარი ფუნქციონირებს: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - 3 აგრარული ბაზარი (1-ზუგდიდში, 2- ფოთში), სამცხე-ჯავახეთის რეგიონში -1 აგრარული ბაზარი ახალქალაქში, აჭარაში- 3 აგრარული ბაზარი ბათუმში (მათ შორის ერთი -თევზის ბაზარი), ქვემო ქართლის რეგიონში — 1 აგრარული ბაზარი მარნეულში, თბილისში -3 აგრარული ბაზარი, იმერეთის რეგიონში - 7 აგრარული ბაზარი (ქუთაისში -2, ზესტაფონში, ხონში, სამტრედიამი საჩხერეში, ჭიათურაში), კახეთის რეგიონში- 4 აგრარული ბაზარი (თელავში, წნორში, ლავდებში -2), შიდა ქართლის რეგიონში - 1 აგრარული ბაზარი გორში, გურის რეგიონში -1 აგრარული ბაზარი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. გარდა ზემოაღნიშნული ობიექტებისა, ფუნქციონირების განახლებისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ სხვა აგრარული ბაზრებიც, რაზედაც მიმდინარეობს მონიტორინგი. სურსათის ეროვნული სააგენტო მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს ბაზრების ადმინისტრაციასთან და გასცემს

რეკომენდაციებს“, -აღნიშნავენ უწყებაში.

სურსათის უვნებლობის სააგენტოს ჩამონათვალში არ მოხვდა დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანაშიამ განუცხადა „შირაქს“ განუმარტა, „დედოფლისწყაროს ბაზარი დახურული ტიპის დაწესებულებაა. სწორედ ამ მიზეზით არ მოხდა მისი გახსნა. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ბაზრის მეპატრონე ახორციელებს. მისი დასრულებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს შემოწმების შემდეგ, მოხდება ბაზრის ამოქმედება. აქ დაცული იქნება როგორც სანიტარულ-ჰიგიენური, ასევე ყველა სახის უსაფრთხოების ნორმები“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანაშიამ.



ქველმოქმედება ერთიანი კალაბით



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და ადგილობრივი მეწარმეების ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გრძელდება.

აქციის ფარგლებში, დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქ. დედოფლისწყაროში მერის წარმომადგენელთან, ბესიკ ცისკარაულთან და „ნითელი ჯვრის“ მოხალისეებთან ერთად სასურსათო კალათები ქ. დედოფლისწყაროს გაჭირვებულ ოჯახებს დაურიგეს.

აღნიშნული აქცია მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა. ადგილობრივი ხელი-

სუფლებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან საკვები პროდუქტები ამჯერად 120-მა ოჯახმა მიიღო.

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და პარლამენტარი ირაკლი შიოლაშვილი განუული ქველმოქმედებისათვის და გვერდში დგომისათვის მადლობას უხდინან ალექსანდრე ხოსროშვილს, ჯემალ დემეტრაძეს, ზურაბ ყაზარაშვილს, ელიზბარ იმერლიშვილს, ზურაბ თეთივაძეს, გიორგი ნატროშვილსა და იოსებ ნატროშვილს.



კარანტინში მოქალაქეებსთან ერთად

ირმას მოგილური ტელეფონი ჯიბაში უღევს და სახლში მოვარაგული ადგილის ჰოვანას ცდილობს. სახლში სულ ორი ოთახია, ერთში ბავშვებს სძინავთ, მეორეში კი მისი მოქალაქე ქმარი ტელეფონით შინაგანად მას დააჭვამს, არადა, სადმე ღარიკვა უნდა მოასწროს. 112-ზე, ძალადობის ცხელ ხაზზე, მებრძოლებთან, და მერე ღარიკვილი ზარბის ნაშლაც მოასწროს. მისამ კვირას, კორონავირუსით გამოწვეული კარანტინის გამო ისიც სახლშია გამოკეტილი. ოღონდ ამჯერად ქმართან ერთად, რომელიც ასევე არსად მიდის და ყველაფერზე ყვირის. მოქალაქეებს არ სჭირდება სერიოზული მიზეზები ძალადობისთვის და ირამაც ეს დიდი ხანია იცის. უკვე შუაღამაა, მას კი დაძინების ეშინია.

რას აკეთებთ? რა საეჭვოდ ჩაჩუმდით? დედანიმს რომ ვურეკავ, სიტყვებს ვარჩევ.

ანონიმური რესპოდენტები ამ დღეებში რეალურმა შეცვალა. საპატრულო პოლიციის ყოფილი შეფის მიერ მეუღლეზე განხორციელებულმა ძალადობის ფაქტმა ოჯახური სივრცეიდან პროკურატურასა და სასამართლოში გადაინაცვლა.

ამის მიუხედავად, საქართველოს შსს ავრცელებს ცნობას, რომ ქვეყანაში პანდემიის გავრცელების პირობებ-

რა მდგომარეობა ამ მხრივ კანკატიის რეპორტი? - ამ კითხვით სახელმწიფო ინფორმაცია მინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით.

ქველმოქმედების, სახალხო დამცველის წარმომადგენელი კახეთში: „საქართველოს სახალხო დამცველი გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში პრიორიტეტად მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას და მომხდარ შემთხვევებზე დაუყოლი, დროული და ეფექტიანი რეაგირების განხორციელებას.“

რისკებს და ართულებს დაცვის და დახმარების სერვისებზე პირდაპირ წვდომას. მიმართვიანობა არ გაზრდილა არც ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრებსა და თავშესაფრებში. მოგესხნებათ, ამ ეტაპზე, თბილისის თავშესაფარი გადაკეთებულია საკარანტინო ზონად, სადაც მსხვერპლები განთავსდებიან თავშესაფარში გადანაწილებამდე 2 კვირით, ჯანმრთელობაზე დაკვირვების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ გამონაკლისი ვრცელდება პოტენციური ძალადობის მსხვერპლისთვის კომენდანტის საათის დარღვევაზე და იგი არ დაჯარიმდება 21:00 - 6:00 საათის განმავლობაში.

სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მომზადდეს სპეციალური კამპანიები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რათა ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ არსებულ დაცვისა და დახმარების შესახებ ინფორმაციასა და სერვისებზე (ცხელი ხაზი, 112 აპლიკაცია) ონლაინ.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს სოციალური პრობლემები და ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელიც მძიმე ტვირთად დაანვა ოჯახებს და უმეტესად ქალებს. რაც შესაძლოა ძალადობის მიზეზად იქცეს.

სახალხო დამცველი აგრძელებს საქართველოში ახალი კორონავირუსის კრიზისის პირობებში ქალთა და ოჯახში ძალადობის კუთხით შესაბამისი უწყებების მიერ მიღებული განწყვეტილებებისა და პოლიტიკის დოკუმენტების აღსრულების მონიტორინგს.

თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველის აპარატს ცხელ ხაზზე: 14 81 ან დამიკავშირდეთ პირად ნომერზე: 571717178.

ინგა შიოლაშვილი



ში, ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზრდა არ შეინიშნება და რომ:

2020 წლის მარტში, ოჯახურ კონფლიქტებსა და ძალადობასთან დაკავშირებით 112-ში დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა თითქმის იდენტურია 2020 წლის იანვარსა და 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობის, ხოლო 2019 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დაფიქსირებული შემთხვევები ემთხვევა 2020 წლის თებერვალში 112-ში დაფიქსირებული შემთხვევების ტენდენციას.

რების განხორციელებას. სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა გამოითხოვა ინფორმაცია მინაგან საქმეთა სამინისტროდან ოჯახში ძალადობის საქმეებზე მიმართვიანობასთან დაკავშირებით და აღმოჩნდა, რომ სტატისტიკა პანდემიის პირობებში არ გაზრდილა ქვეყანაში და, მათ შორის, კახეთში. თუმცა საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მასობრივი იზოლაცია და კომენდანტის საათის მოქმედება ზრდის ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის

შეშლილი სამყარო

მზე ჩადიოდა. კოკისპირულად ნვიმდა. დაღლილ, ღონეგამოცლილ დედამიწას ჯოჯოხეთიდან გამოქცეული ქიმერასავით გარს შემოხვია ამდენი უბედურების გამომწვევი მიზეზი - კორონა, მანაც ველარ მოითმინა და მის ბინადართა ჭირით შეძრწუნებულმა, გააფთრებულმა ჰკითხა:

- რატომ დაგვესხი თავს ასე მოულოდნელად?! რა დაგიშავებ?!
- მაგ კითხვას არ უნდა სვამდე!
- ურცხვად უპასუხა კორონამ.
- ამდენი სიცოცხლის მოსპობის შემდეგ თავს საუბრის უფლებასაც არ უნდა აძლევდე!

- კარგი, რადგან ასე ფიქრობ, გეტყვი, ყველაფერი გეტყვი! ჩემთვის არაფერი დაგიშავებია; ხალხმა დაგიშავა მენ... დაგიშავა და დაგაშავა, გარდაგქმნა, დაგასუსტა, და გაუძღურა...

- ხალხს აბრალებ შენს დაუნდობლობას?!

-სწორედაც! ამ საუკუნეში მათმა დიდმა ნაწილმა ერთმანეთი დაკარგა და შენც გიშვებენ ხელს ნელ-ნელა, სულის ძაფები გაუწყდათ; დაავიწყდათ სიყვარული, სიბოძა, თანადგომა, სიბრალული. ზოგიერთ ადამიანს ადამიანობა დაავიწყდა; ასეთები უგრძნობ ჰიბრიდებად იქცნენ, მონსტრის თვისებებით, რომელთაც ერთმანეთის უბედურება აბედნიერებთ; რომლებიც გადარჩენის უწმინდურმა ინსტიქტებმა თვითგანადგურების გზაზე დააყენა... გულებინმურმა \\\\|ხალხმა ფლორა და ფაუნა გაგინადგურა... ზუსტად მათ გადაწვეს შენი ფილტვები-ამაზონის ტყეები! და მარტო ეს? - კიდევ ვინ მოსთვლის! შენს მიწას არაფერი უფრთხილდება. გაბინძურებენ, გაჭუჭყლიანებენ... ამით იმ ტოტს ჭრიან, რომელსაც სხედან! მუდმივი არაფერია, თუ არ მოუფრთხილდი! ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამას თვითონ ვერ აცნობიერებენ!

- გგონია მე ვერ ვხედავ? მაგრამ რა შემიძლია? რისი გაკეთება?

- **გული მიწვება შენს შიშვან-ღვარას! გამოიყვანეთ ბოროტად ... ვაღიარებ, რომ კეთილი არ ვარ - მი ხომ ამდენი სიცოცხლე მოვსპავ, მაგრამ მი რომ არა შენს მიწას სავდისფარი ნისლი დაფარავდა, ცას კი ფარი გაუსუნდებოდა; მი რომ არა, სხვა გამოჩნდებოდა და თანაც უპურ-ნაქალი; მი რომ არა, შენი მკვიდრები იმ მკვლავრი იარაღის შიშვანს განაგრძობდნენ შენს ნინაღვამად, რასაც თვითონ გლოგალურ დათვობას უწოდებენ; მი რომ არა, შენ მათს ვაღარ გაუშვებდი!**

- გაუფიქრებდი! სადამდეც შევძებდი გაუფიქრებდი!

- დასაფასებელია შენი სწრაფვა თავგანწირვისკენ, თუმცა ასე ერთიანად განადგურდებოდი რამდენიმე წელში, თვეში ან სულაც დღეში... და შენ თუ აღარ იქნები, კაცობრიობაც გადაშენდება! - ეს დაუნერული კანონია, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება! თუ შენი მკვიდრები კვლავაც განაგრძობდნენ შენთვის ზიანის მოყენებას, მაშინ რალა მნიშვნელობა ექნებოდა მე გავანადგურებდი შენი მოსახლეობის რალაც ნაწილს თუ თვითონ მოისწრაფებდნენ აღსასრულის დღეებს?!

- შენ შეიძლება შენი სიმართლე გაქვს, მაგრამ ვინ მოგცა უფლება უფლის ნაბოძები სიცოცხლე ვინ-

მეს ნაართვა? მითუმეტეს ათასობით უდანაშაულოს?!

- გაახილე თვალები, დედამიწავ! მიმოიხედე! განა მე იმდენი სიცოცხლე შევინირე, რამდენსაც მსოფლიოში ყოველდღიურად შიმშილობა იწირავს?! ხალხი საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა, მაშინ როდესაც ათობით ბავშვი უპატრონოდ რჩება, ასობით გაჭირვებული ლუკმაპურს ითხოვს, ათასობით უსახლკარო კი თავზე ჭერს ნატრობს!

- **სანამ შენი შიშვით ხალხი სასლაპში ჩაიკატავოდა ჩემს ყოველ კუნძულში ვუყურებდი ყოველდღე ქუჩაში უაზროდ მოხატულ დაკარგულ სულებს; ვუყურებდი უსახლკაროებს, რომელთაც ღამის გასათევად**

ცხრა ზღვას გასცილებიან და მონური შრომით შვილების კეთილდღეობას უზრუნველყოფენ... მაგრამ მე მაინც მყარად ვდგავარ და გაჩერებას არ ვაპირებ!

- არ დაილაღე?! როგორ შეგიძლია ამ ყველაფერს ასე მშვიდად უყურო?!

- დავილაღე თუ არა? შენი აზრით, ის მაშები იღლებიან „უძლები შვილები“ რომ ჰქვავთ? დავილაღე... ისე დავილაღე, რომ ზოგჯერ გაჩერებაზეც კი ვფიქრობ... მაგრამ მე უფლისგან დაკისრებული მოვალეობები მაქვს და რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა დააშავონ ჩემმა ბინადრებმა, ვაღდებულები ვარ გაუძღო, მოვითმინო და ვიტრიალო. ეს

- თავი კეთილ ჯადოქარად გინდა წარმოგვიდგინო?

- შეიძლება ვერ ამჩნევ, მაგრამ ადამის მოდგმას მივიწყებული გრძნობები გავახსენე. დავანახე, რამდენად ბედნიერად უცხოვრიათ აქამდე; რა ტკბილია ჰაერის ჩასუნთქვა პირბადის გარეშე, ხელის ჩაკიდება უხელთათმანოდ, სიყვარული დისტანციის გარეშე... გავაგებინე, რომ სოფელი ქალაქზე ბევრად უკეთესია! გავახსენე უპატრონოდ დატოვებული, შვილებისთვის მლოცავი მოხუცები, მიტოვებული ნასახლარების დარაჯობა რომ უკისრიათ... ხალხს გლეხის შრომა დავაფასებინე და მივახვედრე, რომ უშრომელად არაფერი მოდის; მონატრებით სიყვარული



მუყაოს ყუთის კოვანა ახარებდათ; ვუყურებდი ხალხანდობილ გოგო-ბიჭებს, ჩამოკონკილი ტანსაცმლით რომ კაპიკებს ითხოვდნენ; ვუყურებდი ღოთიებს, რომლებიც ცხოვრებისგან ხელნაკრავნი, ქუჩაში უბოროდ მითვრალბი მოსთქვამდნენ და მერა ბონების დაკარგვამდე ილაპარაკებდნენ; ვუყურებდი ამ სცენებისთვის გულცივად მოცქირალ გამვლელებს ტელეფონებით ხალხში, რომელთაც იმდენი ჰქონდათ ფოტოზა აღბაჭილი მოვლენებით ინტარნატ სივრცეში პოპულარობას მოიპოვებდნენ; ვუყურებდი მუშებს, რომლებიც ყოველდღე თავგანწირვით მუშაობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მშვიერი შვილები დაეპურებინათ... ვუყურებდი და ერთიანად ვინვოდი იმ ცოდვა-ბრალით, რაც ჩემს მიწაზე ტრიალებდა, მაგრამ არაფრის გაკეთება შემიძლო... ახლა კი, შენ გამო, სისხლისმსმელი ტირანო, ვუყურებ ემიგრანტებს, რომელთაც სამშობლოდან ზარი ამინებთ - „ჩემებს ხომ არაფერი დაემართათო“, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად ცხრა მთას,

ჩემი ვაღია კაცობრიობის წინაშე და მას დემდე ზინათლად ვასრულებ! შენ არ დაილაღე?! - ყველა გებრძობ! ხან შენ მარცხდები, ხან ექიმები. ახალგაზრდა კი ხარ, მაგრამ საიდან ამდენი ენერჯია?

- სიმართლეს გეტყვი, მოხუცო, მეც დავილაღე... მაგრამ მე რომ დედამიწა ვიყო, აქამდე ყველა უსამართლობას და ბოროტებას გავაქრობდი ჩემს მიწაზე და შესაბამისად, აღარც მე და ჩემნაირები ვიარსებებდით!

- ნუ იქნები გულფიცხი! ყოველივე ბუნების კანონზომიერებაა - კეთილიც, ბოროტიც, ღლეც და ღამაც.

- კანონზომიერება?! ჰმ... ხალხი ვერ აფასებს იმას, რასაც სამყარო სთავაზობს! 21 საუკუნის განმავლობაში იესო 21-ჯერ კიდევ ჯვარზე გააკრეს! უფლის ნაბოძები მანსი გონივრულად ვერ გამოიყენეს... მე მათ ხელები ზეცისკენ ავაპყრობინე და ლოცვა დავანყებინე, რმენა გავუმყარე! სიცოცხლის ფასი გაიგეს! ერთად დგომის, ერთ მუშტად შეკერის ძალა დაინახეს!

გავამძაფრე! ექიმებისა და მედიცინის როლი დავანახე სამყაროს; შენ ამოსუნთქვისა და დასვენების საშუალება მოგეცი! მგონი დროა შენ და შენმა მკვიდრებმა ჩემში რალაც კარგიც დაინახოთ!

- ხალხს იმედი სჭირდება კანონის შიშვით ცხოვრებისთვის ფახის თავიდან ასანყოფად. იმედი კი ერთადერთია - შენი ბარდაშვილი დამარცხება! შენი კლანჭიდან ერთ დღესაც დაპიხსნით თავს! ჩვენ ვერ გვაჯობა, ვერ დაგვჯობა! შენ ხალხის კალა არ იცი რა არის! - უთხრა დედამიწამ თვალაპირი შიშვანდარ კორონას და თვალი გააყურა შორს მიმავალს... ახლად შიშვანია, რომ შიშვანთიანობათ... მხა ამოდიოდა, იმედებითა და მოვალის რწმენით გაგრძელებული სხივებით... შორს, შორს, მთების გადაღმა კი ცინარტყალაც მოჩანდა...

მარიამ ტონიშვილი

ნიკო კაცხოველის კონკურსი - წინსვლა ცვლილებებისთვის!

დღეს, სხვა უამრავ გამოწვევასთან ერთად, მდგრადი განვითარება მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მდგრადი განვითარება, რომელიც საზოგადოების განვითარების სისტემა, საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტეგრირებული განვითარების უზრუნველყოფას, ადავინის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შედეგადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დატვირთული გუნდების რესურსებითა და გარემოთი.

ვისთვისაც სიახლეა, გეტყვით, რომ ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი - ნიკო კაცხოველის სასკოლო პრემია, სწორედ ამას ემსახურება. ის 2015 წელს დაარსდა CENN-ის მიერ, პროექტის - ტყის მდგრადი მართვა საქართველოში - ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის / Austrian Development Cooperation ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის თანაორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი. დაარსებიდან დღემდე კონკურსში მონაწილეობა 1,000-ზე მეტმა სკოლამ/ეკო-კლუბმა, მოხალისეების გუნდმა მიიღო(მოსწავლეები, პედაგოგები), რომლებიც ქმნიან ორგანიზაციულ ერთეულს, ეხმარებიან სკოლასა და თემს, გაიზარდონ მდგრადი ცხოვრების წესის მნიშვნელობა და შეამცირონ გარემოზე მავნე ზეგავლენა.

არბოშიკის საჯარო სკოლაც სწორედ იმ 1000 სკოლაშია, რომელიც

პროექტში ჩაერთო და თანაც საკმაოდ წარმატებით აგრძელებს მასში მონაწილეობას. ეკო-გუნდი „არბონავტები“ 10 ნევერისგან შედგება, სადაც 9 მე-11 კლასელი მოსწავლე და ერთი ხელმძღვანელი, ამავე სკოლის ბიოლოგიის მოსწავლეებელი ღარაშვან ბალაშვილია განვეერიანებული. „არბონავტები“ პროექტში 2019 წლის ოქტომბრიდან ჩაერთვნენ და დღემდე 32 აქტიური აქტივობა აქვთ განხორციელებული. როგორც გუნდის ხელ-



მძღვანელი, დარეჯან ბალაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, გუნდი აქტიურად ურთიერთობს პატარა ასაკის მოსწავლეებთან, რათა მათ მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა, მათში და მთლიანად სოციალშიც, ეკოლოგიასთან, გარემოს დაცვასთან და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ცნობიერება აამაღლოს. ისინი ცდილობენ, ხელი შეუწყონ მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ბუნების

დაცვასთან დაკავშირებულ აქტივობებში. გარდა ამისა, ეკო-კლუბის მიერ განხორციელებული საქმიანობა შემეცნებით ხასიათსაც ატარებს და სოციალური სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და ინფორმაციის აქტიურ გაცვლასაც გულისხმობს. ეკო-კლუბის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ეს აქტივობები განსხვავებული ხასიათისაა და მიზანიც ყველას განსხვავებული აქვს: სემინარები, ღია გაკვეთილები,

მდგომარეობასაც გამოეხმაურა და მეგობრებს, თანასოფლელებს და მთლიანად საზოგადოებას მოუწოდა, რომ დარჩნენ სახლში და დაიცვან ყველა რეკომენდირებული წესი. მათ, პატარა მეგობრებთან ერთად, შემოგვთავაზეს ანტისტრესული ბუშტების დამზადების წესები სახლის პირობებში, რაც შემეცნებასთან ერთად სახალისოც გამოვიდა და პატარების დიდი ინტერესი გამოიწვია. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელმა, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ეკო-კლუბი სოციალურად გაჭირვებული ოჯახის მონახულებას და მათ დახმარებას აპირებს, რადგან არსებული სიტუაცია განსაკუთრებულად სწორედ ასეთ ოჯახებს შეეხება. ეკო-კლუბი აქტიურად ემზადება რეგიონალური ნახევარფინანსისთვისაც, რომელში მოხვედრის იმედიც ნამდვილად აქვთ. ისინი იმ ფასდაუდებელ გამოცდილებაზეც საუბრობენ, რომელსაც საზოგადოებრივი სექტორისა და გარემოს დაცვის სფეროს ექსპერტებთან საუბრის და რჩევების მიღებისგან მიიღებენ. ნახევარფინანსში მოხვედრის შემთხვევაში, „არბონავტები“ გაეცხადებიან ჟიურის და გააცნობენ გუნდის მუშაობის შედეგებს, ღიად შეეძლება შექმნილ ცოდნასა და მიღწეულ ცვლილებებზე საუბარი.

ეკო-კლუბის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს რომ გავეცანი, ერთი რამ თამამად შემიძლია გითხრათ: ამ ყველაფრის უკან ცვლილებებისთვის განეული უდიდესი შრომა, მონდომება და სურვილი დგას. ისინი მზად არიან იშრომონ საკუთარი თუ სხვების საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის. მზად არიან იმ გარემოსთვის, რომელში ცხოვრებაც სასიამოვნოსთან ერთად, სასარგებლოც იქნება.

შუშუნა ყანაშვილი

მთავარი მიზანი: სოლიდარობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებელი დამოკიდებულება გარემოსადმი

სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში შეიქმნა ეკო კლუბი „შექმენი მომავალი“, რომელიც 2019 წელს აქტიურად ჩართო ახალგაზრდულ გარემოს დაცვით კონკურსში - „ნიკო კაცხოველის სასკოლო პრემია-2020“. ეს არ არის უპრადოდ კონკურსი. ეს უწყვეტი პროცესია ახალი შესაქმლებლობის მიღებისა და გაზიარების, პიროვნული ზრდისა და ორგანიზაციული განვითარებისთვის. ეკოკლუბის წევრებს შორის მთავარი ფასეულობაა - სოლიდარობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებელი დამოკიდებულება გარემოსადმი. ამ კონკურსში მთავარი მიზანია შევიძინოთ ცოდნა და უნარ-ჩვევები და პატარა თუ დიდი ცვლილებები შევიტანოთ გუნდების და სოციალური გარემოს გაუმჯობესების საქმეში, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ამ პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ უამრავი აქტივობა, სადაც გამოკვეთილი იყო უმთავრესი მიზანი: ეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერება, მისი ეფექტურად გადაჭრის გზების ძიება, გარემომცველი გარემოს შესახებ ცნობიერების ამაღლება. შევისწავლეთ ჭაჭუნას ალკვეთილის, ხატის ტყისა და კარიერების ბიომრავალფეროვნება, ვანარმოეთ დაკვირვება ფრინველებზე-პატარა

ტბისა და არნივის ხეობის მიდამოებში. „საბუკოს“ ორგანიზებით გვექონდა შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, რომელმაც შემოგვთავაზა თანამშრომლობა, ვატარებდით თავისუფალ გაკვეთილებს - „სუფთა ხელები“ ბალის აღსაზრდელებთან და დანყებითი საფეხურის მოსწავლეებთან, ვანყობდით დასუფთავების აქტივობებს, ლაშქრობებს, ჩავერთეთ აქციაში „შეამცირე პოლიეთილენი“ და დავეინყეთ საკუთარი ხელებით ჩანთებისა და სხვადასხვა აქსესუარების დამზადება, შევავროვეთ მაკულატურა და მიღებული ვაუჩერით სკოლის ბიბლიოთეკისთვის შევიძინეთ წიგნები. ეს არასრული ჩამონათვალია, რაც გავაკეთეთ და კიდევ ბევრი დაგვრჩება საკეთებელი.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის ფონზე გადავერთეთ დისტანციურ მუშაობაზე. რთულია ეს სიტუაცია ჩვენთვის, მაგრამ მაინც შეეძლოთ მობილიზება და განვახორციელეთ ონლაინ სემინარები. ჩვენი პირველი შეხვედრა, რომელმაც დიდი ემოციებით ჩაიარა, იყო ონლაინ პრეზენტაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების უფროსის ნინო სეთურაძის მიერ. მან ვირტუალურად გვამოგზაურა ვაშლოვანის ნაკრძალში. მისი დახმარებით კი დავუკავშირდით და ასევე ონლაინ შეხვე-




დრა გაიმართა „მაჭახელას ეროვნული პარკის“ ადმინისტრაციის ვიზიტორთა უფროს-სპეციალისტთან ნანა ბაუყაძესთან. ამავე შეხვედრაზე დაიგეგმა ორმხრივი თანამშრომლობა.

მინდა გაგაცნოთ ჩვენი ეკოკლუბის „შექმენი მომავლის“ წევრები: ანა ნასრაშვილი(სპიკერი), ანი სეფიაშვილი, ნიკა პაპაშვილი, მარიამ ჯეთურიშვილი, ანასტასია ჩუბინიძე, ლანა მენთეშაშვილი, გიორგი ბოდაველი, გიორგი სენიაშვილი, ანა ფაშალიშვილი და ჩვენი კლუბის ხელმძღვანელი, სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნონა ტოქლი-კიშვილი.

ჩვენ არ ვჩერდებით. ვაგრძელებთ ბრძოლას „ნიკო კაცხოველი სასკოლო პრემია-2020“ გამარჯვებისთვის. თუ ვერ გავიმარჯვებთ, მაინც ბედნიერები ვართ იმიტომ, რომ ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი პრობლემაც შეგვგვდა, მაგრამ მთავარია, ვისწავლეთ თანამშრომლობა, საკუთარი ნიჭისა და უნარების გამოვლენა, საკუთარ გარემოში განვითარება.

სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ეკოკლუბის „შექმენი მომავლის“ სახელით გიორგი სენიაშვილი

„ კ ო რ ო ნ ა დ ა დ ე დ ა მ ი ნ ა “



სანდამიანა მთელი მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალა. სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები სახლში ღარიან. დისტანციური სწავლების მიზნად, მოსწავლეებსა და მასწავლებლებსაც გვირი თანხმებული დრო რჩებათ. ამიტომ მათი ნაწილი გარკვეულ კონსერვაციულ რაიონში ჩაერთო.

ნორჩ შემოქმედთა აღმოსაჩენად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა კონკურსი „კორონა და დედამინა“ გამოაცხადა. მასში აქტიურად ჩაერთვნენ დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების

მოსწავლეები. რუსულან კიკილაშვილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგი: „დისტანციური სწავლების დროს ყველაზე სახალისო საგანი ხელოვნებაა, თუმცა სკოლაშიც ესეა. ბავშვები სიხარულით ჩაეღწენ. იმდენად აზარტული ყოფილა ეს კონკურსი და მეც ბავშვებთან ერთად ყოველ საათში ერთხელ

ნეთ დაუნის სინდრომის, დედამინის დღეები. აღდგომისთვის შერეული ტექნიკით ვიმუშავებ. ახლა 5 მაისისთვის ასრულებენ ნამუშევრებს. მერე 26 მაისსაც მივუძღვნი ნამუშევრებს. ბავშვთა დაცვის დღესაც აღვნიშნავთ დისტანციურად და ასე დავასრულებთ ამ სასწავლო წელს.

გამორჩეულად კარგი მოსწავლეები არიან. ვცდილობ, საინტერესო აქტი-

ვობები შევთავაზო. მოსწავლეების გულგმატკვირება კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვებ-გვერდზე უნდა მოიხილონ სასურველი ნამუშევრები. გამარჯვებულებიც ამ სისტემით გამოვლინდებიან.

ვნახულობ შედეგებს. ჩემი 8 მოსწავლეა ჩართული და ვხედავ, საკმაოდ დიდი კონკურენციაა. თუმცა, იმასაც ვხედავ, რომ მართლა კარგი ნამუშევრებიცაა. მე ჩემი ფავორიტი კი მყავს, როგორც უძლიერესი ნახატი. თუმცა, დაბალია მისი შედეგები.

ზოგადად, ჩემი მოსწავლეები არ ტოვებენ უყურადღებოდ არცერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას, რასაც შეიძლება, რომ მიეძღვნას.

რაც სახლში არიან, ერთად აღვნიშ-



ულოცავენ!
ლამარა ჭიჭინაძეს!

კახეთის გამორჩენილი ადამიანის, ჩვენი სახელოვანი ბიძის მიშა ჭიჭინაძის სიყრმის შვილს, ლამარას ვულოცავთ დაბადების დღეს - 1 მაისს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს მის ძვირფას ოჯახის წევრებთან ერთად.

ულმესი პატივისცემით და სიყვარულით,
ლიანა მაჩიტაძე, ლელა კიკნაძე, გურამ (ბუბა) ჭუმბურიძე, ნუნუ ჭრავაშვილი, მანანა, დათო, თამუნა არველაძეები ოჯახებით.

თენგიზ ცერცვაძე - არის იმედი, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი მიიღებს „რემდესივირს“

ჩვენო ლამარა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და გახარებას შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. ტკბილ მოგონებად დარჩა ის წლები, როდესაც ერთად ვმუშაობდით, ახალგაზრდები ვიყავით და სიცოცხლე გვიხაროდა. ერთმანეთის დაბადების დღეებზე მივდიოდით, გულწრფელად გვიყვარდა და ვეფერებოდით ერთმანეთს. ახლა კი, ასაკში შესულებს გვენატრება ერთმანეთი, მაგრამ ხომ ნათქვამია, სიყვარული არა კვდებაო. ჰოდა, ჩვენც დღემდე შემოგვრჩა ეს სიყვარული და მონატრება. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გეფერებით.

პატივისცემით,
სოცუზრუნველყოფის ყოფილი თანამშრომლები:
თამარიკო ლოლაშვილი, ნანა პოპიაშვილი, მარინა კაკალაშვილი.

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის, **თენგიზ ცერცვაძის** განცხადებით, არის იმედი, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც კორონავირუსის სამკურნალოდ პრეპარატ „რემდესივირს“ მიიღებს. როგორც მან დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა, ხელისუფლებამ უშუალოდ მიმართა კომპანიას, რომ გაითვალისწინოს საქართველოსთან მისი თანამშრომლობის წარმატებული ისტორია და საქართველოს პრეპარატი „რემდესივირი“ მისცენ.

„დღეს ჭარბობს აზრი, რომ „რემდესივირი“ კარგია. იმასაც ამბობენ, რომ კომპანიის აქციები გაიზარდა. რაც შეეხება კითხვას, აქვს თუ არა საქართველოს მისი მიღების შანსი, თავიდანვე, როდესაც ამ პრეპარტზე კვლევა დაიწყო, მის მისაღებად მთელი მსოფლიო რიგში იდგა. იმის გამო, რომ ჩვენთან ძალიან ცოტა ინფიცირებულია და კიდევ უფრო ცოტა გარდაცვლილი, ამ რიგში უშანსოდ ვიქნებოდით, რადგან ჯერ ბუნებრივია, იმ ქვეყნებს დააკმაყოფილებდნენ, სადაც ბევრი გარდაცვლილი და ინფიცირებულია, მაგრამ ჩვენს მთავრობას ერთი პრივილეგია აქვს, ფარმაცევტული კომპანია „გილედსაიენსი“ საქართველოს C ჰეტატიტის ელიმინაციის პროგრამისთვის უფასო მედიკამენტებს აწვდის, რომლის ღირებულება რამდენიმე მილიარდია. საერთოდ, დიდ პატივს სცემს ეს კომპანია საქართველოსა და მის ჯანდაცვას, ვინაიდან ერთად ვაკეთებთ C ჰეტატიტის ელიმინაციას. ჩვენმა ხელმძღვანელობამ ისარგებლა ამ პრივილეგიით და უშუალოდ მიმართა კომპანიას, რომ გაითვალისწინოს საქართველოსთან მისი თანამშრომლობის წარმატებული ისტორია და საქართველოს პრეპარატი „რემდესივირი“ მისცენ. არის იმედი, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც მას მიიღებს და თუ დღევანდელი იმედები გამართლდა, ამით საქართველო კიდევ უფრო დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ“, - განაცხადა ცერცვაძემ

ჯიმი აღუდიშვილს!

ძვირფასო ძმაო ჯიმი, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, გაიხარე შენს დიდ და სახელოვან ოჯახთან ერთად. 9 ათეულს გადააბიჯო და ღირსეული კაცის სახელი გერქვას, მართლაც რომ საამაყოა, მრავალჯერ უთქვამთ ქება კარგი შვილებსა და შვილიშვილების გაზრდისათვის, იყავ შესანიშნავი სპეციალისტი, ხელმძღვანელი და მრავალი ჯილდოც დაიმსახურე ღირსეულად. ერთად ვიარეთ ცხოვრების დიდ გზაზე და ურთიერთსიყვარული და პატივისცემის გარდა არაფერი ყოფილა ჩვენს შორის. კვლავაც დიდხანს გვეგულეობდეს ერთმანეთი.

საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ნომინანტების სახელით:
ლერი და მარლენ კვაჭანტირაძეები, ჯიენალ მოღვაძე, აბრამ სარაშვილი და ებული ყოჩიაშვილი.

ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 4.05 დღე	სამშაბათი 5.05 ღამე	ოთხშაბათი 6.05 დღე	ხუთშაბათი 7.05 ღამე
18°	12°	20°	12°
პარასკევი 8.05 დღე	შაბათი 9.05 ღამე	კვირა 10.05 დღე	10.05 ღამე
18°	9°	13°	10°

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა სარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.